

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ქალაქის მაჟორიტარი
დეპუტატის გიორგი გვარჯალაძის ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის**

შესახებ

ანგარიში

მოგესალმებით ბატონო კოლეგებო და ძვირფასო ამომრჩევლებო. წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად და იგი მოიცავს 2018 წლის ანგარიშს, ჩემს მიერ საკრებულოში, მის კომისიებში და მოსახლეობასთან გაწეული მუშაობის შესახებ.

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილება განხორციელების პროცესში ეყრდნობოდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. ჩემი უფლებამოსილების განხორციელების შედეგად დამდგარი საბოლოო შედეგები (შენიშვნები, წინადადებები, რეკომენდაციები, დასკვნები) ზემოთ აღნიშნული კოდექსის მოთხოვნებთან ერთად ეფუძნებოდა საბიუჯეტო კოდექსის, საკრებულოს რეგლამენტისა და სხვა მოქმედი კანონების, კანონქვემდებარე აქტების, საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების სხვა ინსტრუქციებისა და ეთიკის კოდექსის მოთხოვნებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვახორციელებდი საკრებულოს 2 მუდმივმოქმედ კომისიაში (სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის და სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდული საქმეთა კომისიებში) და ფრაქციაში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.

სულ საანგარიშო პერიოდში 22-ჯერ მივიღე მონაწილეობა საკრებულოს როგორც რიგით, ასევე რიგგარეშე სხდომებში. 13-ჯერ ვესწრებოდი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომებს, 6-ჯერ ვმონაწილეობდი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომებს (როგორც საკრებულოს წევრი და ამავე კომისიის თავმჯდომარე). 5-ჯერ მივიღე მონაწილეობა სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომებზე, ხოლო

18-ჯერ მივიღე მონაწილეობა ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“-ს სხდომებზე.

საანგარიშო პერიოდში ვმონაწილეობდი საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ მოწვეულ თათბირებში. როგორც საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის 2018

წლის 13 თებერვლის N129 ბრძანებით ვარ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სტიქიის მიერ დაზიანებული სახურავების შესაძენად ოჯახის დაზუსტების სამუშაო ჯგუფის წევრი. აღნიშნული მეხმარება საკითხების ოპტიმალურ ვადებში გადაწყვეტის მხრივ, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება საკრებულოს სივრცით-დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მუშაობაში.

აქტიურად ვიყავი ჩართული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის პროცესში წარმოშობილი სხვადასხვა სახის პრობლემების მოგვარების საქმეში. როგორც საკრებულოს წევრმა და საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ დროული რეაგირება მოვახდინე მეწყერსაშიშ ზონაში არსებული საცხოვრებელი სახლების დაზუსტების და იდენტიფიკაციის პროცესში შესაბამისი კვალიფიკაციის გეოლოგების ჩართვის მხრივ.

საანგარიშო პერიოდში სისტემატურად ვხდებოდი საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ პირებს, მათ შორის: მუნიციპალიტეტის მერს, მერის მოადგილეს, სამსახურის უფროსებს. შეხვედრის საგანი იყო ძირითადად მოსახლეობიდან შემოსული განცხადებების დაკმაყოფილების მიმდინარეობის პროცესების დაჩქარება და შესაძლებლობის ფარგლებში გადაწყვეტა. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ პირებთან შეხვედრის დროს დაკმაყოფილდა 28 მოქალაქის მოთხოვნა, სხვა უწყებებში შუამდგომლობა გაეწია 11 მოქალაქეს.

საანგარიშო პერიოდში კითხვით ერთმანეთს მივმართეთ მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც ეხება ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების მოწესრიგების და გარე ვაჭრობის რეგულაციების წესების, შემუშავების, საკრებულოში წარმოდგენის ვადების დაზუსტებას. მერიის შესაბამისმა სამსახურმა უპასუხა ჩვენს შეკითხვას, მაგრამ გარკვეული პერიოდის დაგვიანებით.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში აქტიურად ვმონაწილეობდი.

- 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის პროცესში.

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებულ რამდენიმე პროექტზე მქონდა შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის გათვალისწინება მოხდა და აისახა შესაბამის პროექტში. გვაქვს გამონაკლისი მაგ: მუნიციპალიტეტის მერიამ დღემდე ვერ მოაწესრიგა გარე ვაჭრობის საკითხი.

- ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის მოთხოვნისა და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ვხვდებოდი მოქალაქეებს, შენიშვნები რომელიც დაფიქსირდა ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს ძირითადად ასეთია:

- მძიმე სოციალური მდგომარეობა;
- დაუსაქმებლობა;
- გზების რეაბილიტაცია, მათ შორის ასფალტირება;
- სანიაღვრე ქსელის მოწესრიგება;
- საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთება და აღდგენა;

- სპორტული ობიექტების მოწყობა (ჭადრაკის სახლის შენობის სრული რეაბილიტაცია

სადაც დაჯდა 86416 ლარი და საფეხბურთო აკადემია);

როგორც საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა, დადგენილების წესის შესაბამისად,

წერილობითი შუამდგომლობა გავუწიე მოქალაქეებს სხვადასხვა სოციალური სერვისის


მისაღებად.

საანგარიშო პერიოდში არ დამირღვევია ზოგადად მორალური ნორმები და კონფლიქტი

არ მქონია როგორც კოლეგებთან, ისე მერიის თანამშრომლებთან და მოსახლეობასთან.

და ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს მთლიან შემადგენლობას, და საკრებულოს აპარატს თანამშრომლობისთვის.

გიორგი გვარჯალაძე



კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია